ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5375131

ნომერი: AR1819256

თარიღი : 19.04.2021

გაცემის თარიღი : 21.04.2021

გაცნობის თარიღი : 21.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუხაიძე , N 48;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ხოფერია პ/ნ 01007011176
- თბილისი ნიკო ჭავჭავაძის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს აპარტ დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405329764
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გია ხოფერია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01007011176

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 361.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 151.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 574.4

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 463.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 111.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.26
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.36
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.9

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. .საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა.: -წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების მდგრადობისა და ჩასატარებელი სამუშაოების მათზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.
2. .საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილების 40-ე მუხლის 2-ე ქვეპუნქტის შესაბამისად გაპის სტადიაზე მოწყობილ არსებულ დაფაზე დამატებით უნდა განთავსდეს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნებართვის მაძიებლის მიერ მოწყობილი ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
• შენობა-ნაგებობის მისამართი;
• შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
• დემონტაჟის მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო
• განაცხადის განხილვის ვადები (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ ატვირთვის თარიღი და - კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
• შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
• ბანერის ფოტოები უნდა იყოს დათარიღებული დღეის მდგომარეობით
• საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი
თქვენს მიერ წარმოდგენილ ბანერზე განაცხადის ნომერი და განხილვის ვადა არ არის პროექტთან შესაბამისობაში.
3. .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. :
-ვინაიდან სადემონტაჟო შენობა ცდება საკადასტრო საზღვრებს (3-1 ფასადის ნაწილში), საჭიროა მოცემულ ნაწილში ნაჩვენებ იქნას დროებითი სამშენებლო ღობე. აღნიშნულის შესაბამისად წარმოდგენილ იქნას ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან და დროებითი ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.
-მოთხოვნის ტექსტში დაკონკრეტებულ იქნას (ნუმერეციის მიხედვით) კონკრეტულად რომელი შენობების დემონტაჟი ხდება.
-ვინაიდან ნაკვეთზე ასევე ფიქსირდება N03/1 და 04/1 ნაგებობები, საჭიროა აღნიშნულის ნახაზებიც იქნას წარმოდგენილი.

-ვინაიდან სადემონტაჟო ნაგებობები ცდება საკადასტრო საზღვრებს, საჭიროა ნახაზებზე ფრაგმენტის სახით ნაჩვენები იქნას მომიჯნავე ნაკვეთის შენობების კედლები(კონტური) მოცემულ ნაწილებში.
-განმარტებულ იქნას N02/1 შენობის "3-1" ღერძებში არსებული კედელი ხომ არ წარმოადგენს მომიჯნავე ნაკვეთზე არსებული შენობის საერთო კედელს.
-ჭრილი 2-2 მოყვანილ იქნას გეგმასთან შესაბამისობაში (2.90 ნიშნულზე, კარის ნაწილში).
4. წარმოდგენილ იქნას ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ესკიზი მიმდებარე განაშენიანების და ფუნქციის შესაბამისი (აღნიშნული ასევე გეცნობათ AR1816592 განაცხადზე).

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.